



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N3 დაწესებულების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი
ანგარიში

(2019 წლის 16-17 სექტემბერი)

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სარჩევი

1. შესავალი	2
2. მონიტორინგის ვიზიტის მეთოდოლოგია	2
3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელება	3
4. არასათანადო მოპყრობა	5
4.1 ძალადობისგან თავისუფალი გარემო	5
4.2 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში არსებული პირობები და რეჟიმი, როგორც არასათანადო მოპყრობა.....	11
5. პატიმრობის პირობები	16
5.1 ფიზიკური გარემო.....	16
5.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები	17
6. კონტაქტი გარე სამყაროსთან	20
7. სამედიცინო მომსახურება.....	24

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2019 წლის 16-17 სექტემბერს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის ანგარიშს. ვიზიტის მიზანი იყო, შეესწავლა N3 დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობა და შეეფასებინა, თუ რამდენად შესრულდა სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016, 2017¹ და 2018² წლებში N3 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების შედეგად გაცემული რეკომენდაციები.

2. მონიტორინგის ვიზიტის მეთოდოლოგია

რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების პროცესი ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში მოიცავდა რეკომენდაციების შესრულების პირველადი გადამოწმების მიზნით N3 დაწესებულებაში სახალხო დამცველის აპარატის სისტემის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ვიზიტს, მოპოვებული ინფორმაციის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებას. გადამოწმების პროცესის მეორე ნაწილი კი ითვალისწინებდა დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებას.

N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტი შედგებოდა სამი კომპონენტისაგან: **პირველი კომპონენტი** მოიცავდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების გასაუბრებას, როგორც პატიმრებთან ასევე დაწესებულებაში დასაქმებულ თანამშრომლებთან. მონიტორინგის ვიზიტის დღეს დაწესებულებაში იმყოფებოდა 51 პატიმარი, აქედან 50 მსჯავრდებული და 1 ბრალდებული. დეესკალაციის ოთახში მოთავსებული იყო 2 მსჯავრდებული. სამართლო საკნებში და დაწესებულების სამედიცინო ნაწილის საკნებში არავინ არ იყო მოთავსებული. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის ვიზიტისას გაესაუბრა 20 პატიმარს.

მონიტორინგის ვიზიტის **მეორე კომპონენტი** მოიცავდა დაწესებულებაში არსებული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის შესწავლას. **მესამე კომპონენტი** კი გულისხმობდა

¹ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის 23-25 მაისს და 2017 წლის 2-4 თებერვალს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიში, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019032815021473858.pdf> [ბოლოს ნანახია: 05.11.19].

² 2019 წლის 13-14 დეკემბერს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის რეკომენდაციები ასახულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2017 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019040513262313034.pdf> [ბოლოს ნანახია: 05.11.19].

პატიმრობის არსებული პირობების დათვალიერებას, დაწესებულებაში არსებულ ვითარებაზე, თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ურთიერთობასა და ზოგადად დაწესებულებაში მიმდინარე სამუშაო პროცესზე დაკვირვებას. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში.

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელება

ვიზიტის მიმდინარეობისას, მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, **სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ისევ შეექმნა პრობლემა საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონით განსაზღვრული და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განხორციელების პროცესში.** კერძოდ, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაწესებულების მთავარი ექიმისგან უარი მიიღო დაზიანების აღრიცხვის ჟურნალისა და მსჯავრდებულთა სამედიცინო ბარათების გაცნობაზე, ამასთან იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსთან გასაუბრების შემდეგ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს უარი განუცხადეს სამედიცინო რეფერალის გაცნობაზე იმ მოტივით, რომ ინფორმაცია მსჯავრდებულთა ვინაობისა და მათი დიაგნოზების შესახებ არის კონფიდენციალური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით.

მოგვიანებით, ექიმმა, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის თანხმობით, ჯგუფს ნება დართო შეემოწმებინა სამედიცინო რეფერალისა და კონსულტანტთა აღრიცხვის ჟურნალები იმ პირობით, რომ მოხდებოდა პატიმრის სახელის და გვარის დაფარვა, ხოლო სამედიცინო ბარათების გაცნობა ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. სამედიცინო რეფერალისა და კონსულტანტთა აღრიცხვის ჟურნალებზე სახელისა და გვარის დაფარვის გამო, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ვერ შეძლო მოეხდინა კონკრეტული პატიმრების იდენტიფიცირება და მათთვის გაწეული სამედიცინო კონსულტაციებისა და რეფერალის სრულყოფილი შესწავლა. ამასთანავე, პატიმრების რაოდენობისა და მონიტორინგისთვის განკუთვნილი დროის გათვალისწინებით, თითოეული პატიმრისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მონიტორინგის პროცესი.

გარდა ზემოაღნიშნული დაბრკოლებისა, დაწესებულების დირექტორის მოადგილემ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ასევე უარი განუცხადა საკნებში განცალკევებით მოთავსებული პატიმრების შესახებ ინფორმაციის პატიმრების თანხმობის გარეშე მიწოდებაზე. დირექტორის მოადგილემ სპეციალურ პრევენციულ

ჯგუფს პატიმრებისგან თანხმობის აღებაში დახმარება შესთავაზა და საბოლოოდ, განცალკევებით მოთავსებული 27 პატიმრიდან სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს გადასცა მხოლოდ იმ 18 პატიმრის შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც, მისივე განმარტებით, თანხმობა განაცხადეს ინფორმაციის ჯგუფისთვის მიწოდებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური პრევენციული ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას სრულად შეესწავლა საკანში განცალკევებით მოთავსებული ოცდაშვიდივე პატიმრის მიმართ იზოლაციის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს უარი განუცხადეს დისციპლინური სახდელების შესახებ დოკუმენტაციისა და დეესკალაციის ჟურნალების ასლების დაშტრიხვის გარეშე გადმოცემაზე, რაზეც ადმინისტრაციას არ წარმოუდგენია შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთება. უფრო მეტიც, მათი მოქმედება იყო ურთიერთსაწინააღმდეგო. ასე მაგალითად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს უარი განუცხადეს დისციპლინური სახდელებისა და დეესკალაციის ჟურნალების ასლების დაშტრიხვის გარეშე გადმოცემაზე მაშინ, როდესაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ შექმნიათ პრობლემა მონაცემების ადგილზე დამუშავებისა და ამოწერის თვალსაზრისით. ამასთანავე, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ შექმნია პრობლემები იმ პატიმრების შესახებ ინფორმაციის შემცვლელი ასლების მიღებაზე, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა ხელბორკილების გამოყენებას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მანდატისა და მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს სხვადასხვა დოკუმენტაციიდან მიღებული მოცულობითი ინფორმაციის კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით დამუშავება. სამწუხაროა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს შეექმნათ დაბრკოლებები განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების წვდომის თვალსაზრისით.³ აღსანიშნავია, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ცალსახად აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ პრევენციის ეროვნული მექანიზმის **დაუბრკოლებელი** წვდომა დაკავებულ პირთა მოპყრობისა და დაკავების პირობებთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციაზე.

საქართველოს მხრიდან ფაკულტატიური ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების

³ პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების წვდომის კუთხით შექმნილ დაბრკოლებებზე საუბარია, ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიშში (გვ. 6-7). კერძოდ, 2018 წლის 19- 21 დეკემბერს, N17 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგისას დაწესებულების მთავარმა ექიმმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის შემოწმებაზე უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია პატიმრის ვინაობისა და მის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ იყო კონფიდენციალური და მოსთხოვა ჟურნალში მითითებული პატიმრების წერილობითი თანხმობა.

შეუსრულებლობას ეხმიანებოდა გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის საქართველოს მთავრობისთვის 2018 წლის 10 დეკემბერს გაგზავნილი წერილი. ქვეკომიტეტი მთავრობასთან გამართულ წერილობით კომუნიკაციაში ხაზს უსვამდა პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის **ყველა შესაბამის მონაცემზე, მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტაციაზე, რეესტრებსა და სხვა ჩანაწერებზე დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფის აუცილებლობას**. დასაბუთებულია, რომ სახელმწიფოს ამ დრომდე არ მიუღია ზომები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, დაუყონებლივ უზრუნველყოს ფაკულტატური ოქმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება და აღმოფხვრას ყველა ის შეზღუდვა და დაბრკოლება, რაც არსებობს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების თანამშრომლებს ჩაუტარდეთ მოკლე ინსტრუქტაჟი პრევენციის ეროვნული მექანიზმის მადნატიისა და უფლებამოსილებების შესახებ.

4. არასათანადო მოპყრობა

4.1 ძალადობისგან თავისუფალი გარემო

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს 2019 წლის ვიზიტის დროს, არ მიუღია ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ. ამასთანავე, გამოკითხული მსჯავრდებულების ნაწილის გადმოცემით, დაწესებულებაში წინა წლებთან შედარებით ზოგადად გამოსწორებულია თანამშრომლების დამოკიდებულება პატიმრებთან მიმართებაში. კერძოდ, თუ 2016, 2017⁴ და 2018⁵ წლებში განხორციელებული მონიტორინგებისას პატიმრების უმეტესობა ღიად საუბრობდა დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის კონფლიქტური და დაძაბული ურთიერთობის შესახებ, მათ შორის, თანამშრომლების მხრიდან მაპროვიცორებელ და გამომწვევ დამოკიდებულებაზე, 2019 წლის მონიტორინგისას გამოკითხული მსჯავრდებულების განცხადებით, თანამშრომლები ცდილობენ არ შევიდნენ პატიმრებთან კონფრონტაციაში.

⁴ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის 23-25 მაისს და 2017 წლის 2-4 თებერვალს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარი, გვ 11, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019032815021473858.pdf> > [ბოლოს ნანახია: 10.11.12].

⁵ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2018 წლის დეკემბრის თვეში N3 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი დადებითად აფასებს თანამშრომლების მხრიდან პატიმრებთან კონფლიქტების არიდების მცდელობას. მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და პატიმრებისგან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ დაწესებულებაში ისევ აქვს ადგილი პატიმართა მიმართ ფსიქოლოგიურ ძალადობასა და არაფორმალურ დასჯას, რაც პრობლემური ქცევის პატიმრების დამორჩილების მიზნით დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად მოთავსებაში გამოიხატება.

სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსების არსებული პრაქტიკა წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

დეესკალაციის ოთახის ხანგრძლივად გამოყენება

აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულებაში, 2019 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში დეესკალაციის ოთახის გამოყენების რაოდენობა⁶ მცირედით შემცირებულია 2018 წლის ბოლო რვა თვესთან შედარებით⁷. მიუხედავად ამისა, ისევ გრძელდება პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, პატიმარი ფაქტიურად უწყვეტად რამდენიმე დღის განმავლობაში მოთავსებული იყო დეესკალაციის ოთახში. როგორც ვიზიტის შედეგად გაირკვა, დეესკალაციის ოთახებში პატიმრების გადაყვანა უმეტეს შემთხვევაში ხდება მაქსიმალური ვადით (72 საათით) და ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახში ერთი და იგივე პირის ფაქტობრივად უწყვეტ მოთავსებას წუთებისა და საათების ინტერვალებით. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში გამოყვანისა და შეყვანის დროს ერთი და იგივეა, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ პატიმრის გამოყვანა ხდება ფორმალურად მისი საკანში ხელახალი დაბრუნების მიზნით. ასე მაგალითად, ერთ შემთხვევაში პატიმარი დეესკალაციის ოთახში რამდენიმე, წუთისა და საათების ინტერვალებით გადაყვანილ იქნა 11-ჯერ.

⁶ 2019 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში დეესკალაციის ოთახი გამოიყენეს 111 შემთხვევაში.

⁷ 2018 წლის ბოლო რვა თვის განმავლობაში დეესკალაციის ოთახი გამოიყენეს 119 შემთხვევაში.

1		2		3		4	
შეყვანა 08-02-2019 04:07:00	გამოყვანა 08-02-2019 14:51:00	შეყვანა 08-02-2019 14:51:00	გამოყვანა 10-02-2019 14:13:00	შეყვანა 10-02-2019 14:31:00	გამოყვანა 11-02-2019 16:41:00	შეყვანა 11-02-2019 16:41:00	გამოყვანა 12-02-2019 19:52:00
5		6		7		8	
შეყვანა 12-02-2019 19:58:00	გამოყვანა 13-02-2019 13:31:00;	შეყვანა 13-02-2019 18:17:00,	გამოყვანა 16-02-2019 17:37:00;	შეყვანა 16-02-2019 18:01:00	გამოყვანა 19-02-2019 11:36:00	შეყვანა 19-02-2019 23:19:00	გამოყვანა 22-02-2019 04:49:00;
9		10		11			
შეყვანა 22-02-2019 04:50:00	გამოყვანა 22-02-2019 23:10:00	შეყვანა 22-02-2019 23:10:00	გამოყვანა 25-02-2019 23:01:00	შეყვანა 25-02-2019 22:01:00	გამოყვანა 25-02-2019 09:10:00		

აღნიშნული პატიმარი მითითებულ პერიოდში დეესკალაციის ოთახში მთლიანობაში იმყოფებოდა 17 დღე-ღამის განმავლობაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა სხვა შემთხვევები: პატიმარი 17.07.19-დან 26.07.19-ის ჩათვლით დეესკალაციის ოთახში რამდენიმე, წუთისა და საათების ინტერვალებით, ფაქტიურად უწყვეტად, **მთლიანობაში 9 დღის განმავლობაში იყო მოთავსებული**. კიდევ ერთი პატიმარი 04.03.19-დან 21.03.19-ის ჩათვლით ფაქტიურად უწყვეტად **მთლიანობაში 17 დღის განმავლობაში იყო მოთავსებული**. ასევე, ერთი პატიმარი 12.06.19-დან 20.06.19-ის ჩათვლით ფაქტიურად უწყვეტად **მთლიანობაში 8 დღის განმავლობაში იყო მოთავსებული**.

პატიმრის დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივი მოთავსება წინააღმდეგობაში მოდის წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებთან, რომლის მიხედვითაც, დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების მაქსიმალური დრო არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი⁸, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია

⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 94, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია: 01.11.2019].

გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

დეესკალაციის ოთახის არამიზნობრივი გამოყენება

აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება უნდა ემსახურებოდეს, მათ შორის, პატიმრის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან აცილების მიზანს, თუმცა დეესკალაციის ოთახში მოთავსებამდე ან მოთავსების პარალელურად არ ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა, კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და მათი აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, საგულისხმოა, რომ N3 დაწესებულების დეესკალაციის ოთახები არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი⁹ და ამ ოთახებში არსებული პატიმრობის პირობები ხშირად, ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუარესების მიზეზიც ხდება.¹⁰

დაწესებულებაში ფსიქო-სოციალური მხარდამჭერი სერვისების და სიტუაციის მართვის სხვა რესურსის არარსებობის გამო, ადმინისტრაცია დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივი დროით ათავსებს პატიმარს, რომელსაც აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებობს სხვისი ან საკუთარი თავის დაზიანების რისკი. ამასთანავე, რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა აღნიშნული პატიმრების მიმართ დეესკალაციის ოთახში ხელბორკილების გამოყენებას. **სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი საზგასმით აღნიშნავს, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად მოთავსება, ხელბორკილის გამოყენება და სათანადო ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობა არღვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 მუხლის მოთხოვნებს¹¹ და წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.¹²**

სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მოთავსება უნდა

⁹ N3 დეესკალაციის ოთახი წარმოადგენს სტანდარტულ ცარიელ საკანს ბეტონის იატაკით და შეღებილი კედლებით, იატაკზე დევს ტყავის ერთი მყარი მატრასი, ოთახს აქვს მცირე ზომის სარკმელი, რომელიც არ იღება. ოთახში უპაერობაა თუ არ ჩავრთავთ ხელოვნურ ვენტილაციას. ასევე, უნიტაზი დამონტაჟებულია ვიდეოკამერის ხედვის არეალში.

¹⁰ N3 დაწესებულებაში 2019 წლის სამი თვის განმავლობაში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) დეესკალაციის ოთახში პატიმრის მიერ თვითდაზიანების 2 შემთხვევა დაფიქსირდა.

¹¹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, „არავინ არ უნდა გახდეს წამების, სასტიკი, არაპუმანური და დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის მსხვერპლი.“

¹² საქმეზე კუჩერუკი უკრაინის წინააღმდეგ (Kucheruk v. Ukraine)(no. 2570/04) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პატიმრის განმარტებით და ხელბორკილებით ხანგრძლივი და განმეორებითი მოთავსება იმის გამო, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა საკმარისი რესურსი პატიმრის ქცევის სამართავად და ფსიქიატრიული დახმარების მისაწოდებლად, მიიჩნია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევად. პარ. 131.

იყოს მხოლოდ უკიდურესი ზომა და ამ ღონისძიების გამოყენებამდე, უსაფრთხოების მიზნის მისაღწევად, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საშუალებები არასაკმარისია, დეესკალაციის ოთახში გადაყვანა უნდა გამოიყენებოდეს როგორც იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს და პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პაციმრისთვის მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მიერ ადეკვატური დახმარების გაწევა. ხოლო, თუ დეესკალაციის ოთახში 24 საათით მოთავსება და მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა არასაკმარისი იქნება ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციმრის უსაფრთხოების დაცვის მიზნის მისაღწევად, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მისი გადაყვანა N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

დეესკალაციის ოთახის დასჯის მიზნით გამოყენება

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში სერიოზული შემოთება გამოხატა დეესკალაციის ოთახის გამოყენების პრაქტიკასთან დაკავშირებით. კომიტეტმა დეესკალაციის ოთახების 72 საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა შეაფასა, როგორც დე ფაქტო დასჯა. ამასთანავე, კომიტეტმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი გამოკითხული პაციმრისთვის დეესკალაციის ოთახში მოთავსება აღიქმებოდა, როგორც მათ მიერ გამოვლენილი რთული ქცევის საპასუხო სასჯელი.¹³

მიუხედავად იმისა, რომ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ბრძანებაში მითითებულია დებულებით განსაზღვრული საფუძველი (საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკი), სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხული პაციმრების განცხადებით, დეესკალაციის ოთახებში მათი მოთავსება რეალურად ხორციელდება აღნიშნული საფუძვლების არსებობის გარეშე. კერძოდ, მათი განცხადებით, მითითებულ საკნებში მოთავსების რეალურ მიზეზს დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ კუთვნილი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო პროტესტის გამოხატვა, სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევა და დაწესებულების თანამშრომლებისთვის სიტყვიერი შელაპარაკება წარმოადგენს და არა დებულებით განსაზღვრული საფუძვლები.

¹³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 101, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია: 15.11.19].

აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულების დეესკალაციის საკნებში, საცხოვრებელ საკნებთან შედარებით, პატიმრებს უკიდურესად მძიმე პირობებში უწევთ ყოფნა. კერძოდ, დეესკალაციის/სამართლო საკნებში პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; ამ ოთახებში მოთავსებული პატიმრების ტანსაცმელი ინახება დაწესებულების თანამშრომლებთან და პატიმრებს საკუთარ ტანსაცმელზე წვდომა შეზღუდული აქვთ. დეესკალაციის ოთახებში ყოფნის დროს, პატიმრებს უმეტესად არ ეძლევათ შხაპის მიღების და გასეირნების საშუალება; მათ შეზღუდული აქვთ მაღაზიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლება.¹⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრები აღნიშნულ ღონისძიებას დასჯად აღიქვამენ.

ასე მაგალითად, ერთ-ერთი მსჯავრდებულის განცხადებით, დეესკალაციის ოთახში ყველა უფლება აქვთ შეზღუდული, მათ შორის, სახალხო დამცველთან და ადვოკატთან დარეკვაც. არ აძლევენ სიგარეტს, ფანჯარა დაკეტილია და არის უჰაერობა, არც მაღაზიიდან ყიდვის უფლება არა აქვთ. ერთ-ერთი მსჯავრდებულის განცხადებით, ადმინისტრაციას ინდივიდუალური მიდგომები აქვს პატიმრებთან მიმართებაში. თუ ინტერესი აქვთ რომელიმე პატიმრის მიმართ, მაშინ მაქსიმალურად ცდილობენ, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პატიმრები ცუდ პირობებში ამყოფონ (არ მიაწოდონ წყალი და ჰიგიენური საშუალებები).

მონიტორინგის შედეგად ასევე გაირკვა, რომ N3 დაწესებულებაში ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახში მყოფი პატიმრების მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრებას, რაც აძლიერებს პატიმრების განცდას, რომ აღნიშნულ ოთახებში გადაყვანა მათი დასჯის მიზანს ემსახურება. კერძოდ, 2019 წლის იანვრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, დაწესებულებაში დაფიქსირდა დისციპლინური სახდელების გამოყენების 660 შემთხვევა, საიდანაც 74 შემთხვევაში დისციპლინური სახდელი დაკისრებულ იქნა პატიმრის დეესკალაციის ოთახში ყოფნისას. N3 დაწესებულების დებულების 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ისუტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომ **უზრუნველყოს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის**

¹⁴ დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანა მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძვლების აღმოფხვრამდე, გარდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის შემთხვევებისა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 26 (7).

პრევენციის მიზნით.

4.2 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში არსებული პირობები და რეჟიმი, როგორც არასათანადო მოპყრობა

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები, თავისუფლების აღკვეთის მკაცრ რეჟიმში ყოფნის გამო, კომპენსაციის სახით უნდა სარგებლობდნენ შედარებით მსუბუქი დღის რეჟიმით, თავიანთი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში. კერძოდ, მათ უნდა მიეცეთ დაწესებულების სხვა პატიმრებთან შეხვედრისა და სხვადასხვა საქმიანობით დაკავების დიდი არჩევანი. განსაკუთრებული ძალისხმევით საჭირო მაღალი რისკის დაწესებულებებში ნორმალური შიდა ატმოსფეროს შესაქმნელად. მიზნად უნდა იქნეს დასახული პერსონალსა და პატიმარებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება. ეს უნდა შედიოდეს ადმინისტრაციის ინტერესში არა მხოლოდ პატიმართა მიმართ ადამიანური მოპყრობის კუთხით, არამედ დაწესებულებაში ეფექტური კონტროლისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.¹⁵

სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი წლებია, რაც ხაზგასმით მიუთითებს იმ სისტემურ პრობლემებზე, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. აღსანიშნავია, რომ 2016, 2017 და 2018 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების მსგავსად, 2019 წელსაც არ შეცვლილა N3 დაწესებულებაში არსებული გარემო და რეჟიმი. N3 დაწესებულების მართვა ისევ ეფუძნება სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს და გულისხმობს მაქსიმალურ შეზღუდვებს, აკრძალვებსა და უპირობოდ მკაცრ რეჟიმს, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით ხელს უშლის მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებასა და რეაბილიტაციას. 2016, 2017 და 2018 წლების მსგავსად, 2019 წელსაც, N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები 23 საათს უსაქმურად¹⁶ ატარებენ საკნებში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში იმყოფებიან სასეირნო ეზოებში, სადაც, გარდა ერთი ოთახისა, არ არის შექმნილი სეირნობისა და ფიზიკური დატვირთვისთვის აუცილებელი გარემო.¹⁷ გარდა ამისა, დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების ნახევრი (27 პატიმარი), თვეებისა და წლების განმავლობაში იმყოფება დე ფაქტო იზოლაციის პირობებში, რაც სახალხო


¹⁵ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Info (2001) 16, სტარასბურგი, ევროპის საბჭო, 2001, პუნქტი 32.

¹⁶ დაწესებულებაში ისევ მძიმე მდგომარეობაა რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კუთხით, არ ხდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელება.

¹⁷ კერძოდ, N3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს კენტი და ლუწი ნუმერაციის 9 სასეირნო ეზო. აქედან ერთი გადაკეთდა სპორტულ ოთახად. სადაც დევს სპორტული აღჭურვილობა ველოსიპედი და წონის ამზიდავი. ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია, შიგნით არის ხელოვნური განათება, დგას ხის გრძელი სკამები და ურნები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. კედელზე მიმაგრებულია ერთი ორძელი. ინტერიერი ნესტიანი და ხავსმოდებულია.

დამცველის შეფასებით პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს¹⁸ და წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მიეცათ სრული ინფორმაცია დაწესებულებაში იზოლირებულად მოთავსებული 27-ივე პატიმრის შესახებ. ჯგუფის მიერ შესწავლილი 18 შემთხვევიდან ირკვევა, რომ დაწესებულებაში ადგილი აქვს პატიმრების 1, 2, 3 და 5 თვეზე მეტი ხნით იზოლირებას. მათ შორის, ერთ შემთხვევაში პატიმარი საკანში მარტო იყო განთავსებული 2018 წლის 3 ოქტომბრიდან მოყოლებული და მისი იზოლირებულად ყოფნა გრძელდებოდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის პერიოდშიც.



განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების¹⁹ დებულებების თანახმად, დაწესებულების დირექტორი ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა ბრალდებულების/მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე, არაუმეტეს 30 დღისა. აუცილებლობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა ბრალდებულებისაგან/მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების ხანგრძლივობა დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გაიზარდოს გონივრული ვადით, იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რომლის საფუძველზეც მოხდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცალკევება.²⁰ ზემოაღნიშნული დებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ პენიტენციური დაწესებულებების

¹⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 52.

¹⁹ N3, N6 და N7 პენიტენციური დაწესებულებები.

²⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 25.

დირექტორებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით, პატიმრები მოათავსოს განუსაზღვრელი ვადით და შეუზღუდონ სხვა პატიმრებთან კონტაქტის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ პატიმრის დიდი ხნით იზოლაცია შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. შესაბამისად, დირექტორისთვის მინიჭებული დისკრეცია განუსაზღვრელი ვადით მოათავსოს პატიმარი განცალკევებით, ზრდის პატიმრის მიმართ აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისა და იზოლაციის თანმდევი არასათანადო მოპყრობის რისკებს.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იზოლაციის საკითხს, რადგანაც ამ ღონისძიებას შეუძლია უკიდურესად დააზიანოს ადამიანის ფსიქიკური, სომატური და სოციალური კეთილდღეობა. ეს ზიანი შეიძლება დადგეს დაუყონებლივ და გაიზარდოს, რაც უფრო ხანგრძლივი და განუსაზღვრელი ვადით არის პატიმარი იზოლირებული. კომიტეტი მიიჩნევს, რომ იზოლაციის მაქსიმალური ვადა 14 დღეს არ უნდა აღემატებოდეს და სასურველია უფრო ნაკლები ხანგრძლივობის იყოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს და მოუწოდებდა პატიმრის განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების 14 დღიანი ინტერვალებით გადასინჯვის სავალდებულო წესის შემოღებას. სამწუხაროდ, მითითებული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

პატიმრების შემზღუდველ რეჟიმში ყოფნას ემატება ისიც, რომ განსაკუთრებული რისკის მსჯავრდებულებს კანონმდებლობით მეტად აქვთ შეზღუდული გარე სამყაროსთან ურთიერთობა.²¹ მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია იმ პატიმრებისთვის, რომელთა ოჯახის წევრებიც აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობენ და შორი მანძილის და დამატებითი ხარჯების გამო უჭირთ პატიმართა მონახულება.²²

დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა იზოლაციის, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაკლებობის და მათ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობის ფონზე, სპეციალური პრევენციულ ჯგუფის წევრებთან გასაუბრებაზე მყოფი ყველა პატიმარი ცდილობდა მეტი დრო გაეტარებინა მათთან და ამ მიზნით ესაუბრათ, თუნდაც არარელევანტურ საკითხებზე, რაც აჩენს იმის განცდას, რომ პატიმრებს საუბრის და ადამიანებთან კომუნიკაციის დეფიციტი აქვთ. ეს ყოველივე აისახება პატიმართა მძიმე ემოციურ მდგომარეობაზე, რომლებიც ადვილად ღიზიანდებიან, ნებისმიერ, თუნდაც, ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხზე. ასე

²¹ ასე მაგალითად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები სარგებლობენ უფრო ნაკლები რაოდენობის პაემნებით (ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები), სატელეფონო საუბრებით, სხვა დაწესებულებებისგან განსახვავებით მათ არა აქვთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება. იხ. პატიმრობის კოდექსი.

²² დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში კონტაქტი გარე სამყაროსთან.

მაგალითად, ტელეფონოგრამების შესწავლიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთი მსჯავრდებულის მხრიდან თვითდაზიანების მიყენების მიზეზი გახდა ის, რომ ულუფაში არ იყო ჩაი. ერთ-ერთი მსჯავრდებულის შიმშილობის მიზეზად კი მითითებულია დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან პატიმრის კუთვნილი ოთახის ფეხსაცმლის დაზიანება, რასაც ის ფსიქოლოგიურ ზეწოლად მიიჩნევდა.

ზემოთ აღნიშნულ პირობებში პატიმრების ყოფნა არა მხოლოდ ეწინააღმდეგება ნორმალური ცხოვრების პრინციპს²³, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში პატიმართა პროტესტის, თვითდაზიანებისა და კონფლიქტების ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება. დაწესებულებაში პატიმრების მცირე (საშუალოდ 50 პატიმარი) რაოდენობის მიუხედავად, ხშირია სხვადასხვა ინციდენტები. აღნიშნულზე მიუთითებს 2019 წლის იანვრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში დაფიქსირებული და სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს ამოწერილი 100-ზე²⁴ მეტი შემთხვევა: სუიციდის მცდელობა - 6; თვითდაზიანება - 33; შიმშილობა - 36; შიმშილობა და თვითდაზიანება - 2; თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფა - 15; თანამშრომლების სიტყვიერი შეურაცხყოფა - 3; თანამშრომლის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა - 1; თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფა და ინვენტარის დაზიანება - 2; საკნის ინვენტარის დაზიანება - 3. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში სისტემატიურად მიმდინარეობდეს თითოეული ინციდენტების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი პრევენციის კონკრეტული გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პატიმართა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს და ხორციელდებოდეს კომუნიკაციისა და ზრუნვის ატმოსფეროში.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **N3 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა,**

²³ კომენტარები ევროპის ციხის წესებზე, ევროპის ციხის წესების მონაწილე ქვეყნების მინისტრთა კომიტეტი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae> [ბოლოს ნანახია: 18.11.19].

²⁴ 2019 წლის იანვრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით N3 დაწესებულების მიერ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გაგზავნილი ტელეფონოგრამები.

შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა

- დექსკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი და იმ შემთხვევაში, თუ 24 საათის შემდეგ არ აღმოიფხვრება დექსკალაციის ოთახში მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ იქნას გადაყვანილი N18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად
- დექსკალაციის ოთახში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად
- დექსკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით
- იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური შემოწმების ჩატარების გზით:
 - უზრუნველყოს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დექსკალაციის ოთახებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით
 - უზრუნველყოს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დექსკალაციის ოთახებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით
- N3 პენიტენციური დაწესებულების დებულებებში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით

რეკომენდაცია N3 დაწესებულების დირექტორს:

- უზრუნველყოს დაწესებულებაში მომხდარი თითოეული ინციდენტების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი პრევენციის კონკრეტული

გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პატიმართა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს და ხორციელდებოდეს კომუნიკაციისა და ზრუნვის ატმოსფეროში.

5. პატიმრობის პირობები

5.1 ფიზიკური გარემო

დაწესებულების საცხოვრებელი საკნები

სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016, 2017 და 2018 წლის მონიტორინგის ვიზიტების დროს გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, 2019 წელს, დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში სათანადო ბუნებრივი ვენტილაცია და განათება კვლავ გამოწვევად რჩება. ბუნებრივი ვენტილაციისა და განათების ნაკლებობა განპირობებულია საკნებში არსებული პატარა ზომის ფანჯრებით, საიდანაც ვერ ხერხდება საკმარისი სინათლისა და ჰაერის შემოსვლა. ასევე, ფანჯრები არის ძალიან მაღლა და ფაქტობრივად შეუძლებელია გარე სივრცის დანახვა. ამასთანავე, არ მიღებულია ზომები საცხოვრებელი საკნების სათანადო ინვენტარით უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საკნები არ არის აღჭურვილი სათანადო ზომის კარადებით. შესაბამისად, პატიმრებს პირადი მოხმარების ნივთები განთავსებული აქვთ საწოლზე ან იატაკზე.

დეესკალაციის ოთახები და სამარტოო საკნები

სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი 2016, 2017 და 2018 წლის მონიტორინგის ვიზიტების დროს გაცემული რეკომენდაციით ითხოვდა დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში ვიზუალური მეთვალყურეობის კამერების იმგვარად დამონტაჟებას, რომ იქ არსებული საპირფარეშოები არ მოხვედრილიყო ვიზუალური მეთვალყურეობის არეში. აღმოჩნდა, რომ კამერები კვლავ დამონტაჟებული იყო საპირფარეშოს თავზე. შესაბამისად, კამერების მდებარეობა არ გამორიცხავდა საპირფარეშოს თვალთვალის არეალში მოქცევას. დაწესებულების დირექტორის მოადგილის განცხადებით, სათვალთვალო სივრცეში არ ექცევა საპირფარეშო, თუმცა, სპეციალური პრევენციული ჯგუფი მოკლებული იყო გამოსახულების მონიტორზე ნახვის და დირექტორის მოადგილის ნათქვამის გადამოწმების შესაძლებლობას.

პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას პატიმრები

აცხადებდნენ, რომ ბოლო პერიოდში დაიწყეს ჰიგიენური დანიშნულების ნივთების დეესკალაციისა და სამარტოო საკანში მოთავსებული პირებისთვის დარიგება, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს.

საერთო სარგებლობის საშხაპეები

სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, 2019 წელს, დაწესებულებაში არსებულ საერთო საშხაპე ოთახებში კვლავ რჩება ხელოვნური ვენტილაციის პრობლემა და არ არის დამაგრებული საკიდები. საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ასევე, არ არის გამოსწორებული. აღსანიშნავია, რომ საერთო სარგებლობის საშხაპეები მნიშვნელოვანია დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში მოთავსებული პაციმრებისთვის.

რეკომენდაცია N3 დაწესებულების დირექტორს:

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში ბუნებრივი ვენტილაციისა და განათების უზრუნველსაყოფად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა პაციმრების პირადი ნივთების შესანახი სათანადო ზომის კარადებით საცხოვრებელი საკნების აღსაჭურვად
- სამარტოო საკნებსა და დეესკალაციის ოთახებში ვიზუალური მეთვალყურეობის კამერები დამონტაჟდეს იმგვარად, რომ იქ არსებული საპირფარეშოები არ ხვდებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის არეში
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებისთვის განკუთვნილ საერთო საშხაპეებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში არსებული საერთო საშხაპე ოთახის საკიდებით უზრუნველსაყოფად

5.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის დროს, დადგინდა, რომ 9 სასეირნო ეზოდან 1 სასეირნო ეზოში მოეწყო სავარჯიშო სივრცე²⁵, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. პაციმრებს 3 დღეში ერთხელ შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნულ სივრცეში არსებული სავარჯიშო ინვენტარით²⁶ და დაკავდნენ მინიმალური ინდივიდუალური სპორტული აქტივობებით. თუმცა, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს,

²⁵ სავარჯიშო სივრცე მოეწყო 2017 წელს.

²⁶ აღნიშნულ ეზოში განთავსებულია კომბინირებული ტრენაჟორი და ველოსიპედი, ასევე ტურნიკი. ტურნიკი დანარჩენ 8 ეზოშიც არის განთავსებული.

რომ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დღის განმავლობაში 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნასთან დაკავშირებით.²⁷

სახალხო დამცველმა/სპეციალურმა პრევენციულმა ჯუფმა სპეციალურ ანგარიშში „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე“ აღნიშნა, რომ სუფთა ჰაერზე ყოფნის ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს პატიმართა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ პატიმრების 32.1 %, რომლებიც ყოველდღიურად იმყოფებიან სუფთა ჰაერზე აცხადებენ, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელები არიან. ამავე ჯგუფის პატიმრები, უფრო იშვიათად მიუთითებენ მძიმე და ქრონიკული დაავადებების არსებობაზე. გარდა ამისა, იმ პატიმრებს, რომლებიც ყოველდღიურად ატარებენ გარკვეულ დროს სუფთა ჰაერზე, უფრო იშვიათად აღენიშნებათ თვითდაზიანების, სუიციდური აზრებისა და თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევები.²⁸ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პატიმრებს მიეცეთ დღის განმავლობაში 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ცალსახად მცდარია მოსაზრება, რომ პატიმრობის კოდექსის შესაბამისი დებულება გამორიცხავს ერთ საათზე მეტი ხნით გასეირნებას, ვინაიდან პატიმრობის კოდექსის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად **არანაკლებ 1 საათისა** იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით), ანუ კანონმდებელმა დაადგინა გასეირნების მინიმალური ხანგრძლივობა, რაც არ გამორიცხავს 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობას.

დაწესებულებაში რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კუთხით კვლავ მძიმე მდგომარეობაა, კვლავ არ ხდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელება. მართალია, 2019 წლის აგვისტოში²⁹ ჩატარდა მსჯავრდებულთა გამოკითხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩასართავ პირთა და სასურველი სარეაბილიტაციო აქტივობების იდენტიფიცირების

²⁷ „N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრებს აწუხებთ ტკივილი წელის არეში (რასაც „ნარის სიმპტომს“ უწოდებენ), რაც განპირობებულია უმოძრაობით და მცირე ფართის საწოლზე²⁷ ერთ პოზაში წოლით; ასევე აქვთ კუჭ-ნაწლავის დაავადებები, გამოწვეული უმოძრაობით, კვების და ძილის რეჟიმის დარღვევით; ხშირია თავის ტკივილები, რასაც სამედიცინო პერსონალი საკანში უჰაერობას/ჟანგბადის ნაკლებობას უკავშირებს; პერსონალი ასევე აცხადებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრებს აღენიშნებათ გამოწყარო, რომელსაც მედიკამენტურად ვერ მკურნალობენ და ვარაუდობენ, რომ ეს გამოწყარო გამოწვეულია საკანში არსებული პირობებითა და უჰაერობით.“ იხილეთ სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე < <https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view> > გვ. 102

²⁸ იხილეთ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე“. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე < <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019060317571314166.pdf> > [ბოლოს ნანახია:10.11.19].

< <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019060317571314166.pdf> > გვ. 118.

²⁹ დაწესებულების სოციალური მუშაკებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად.

მიზნით, თუმცა 2019 წლის იანვრიდან 17 სექტემბრის ჩათლით დაწესებულებაში არცერთი სარეაბილიტაციო აქტივობა არ განხორციელებულა. გამოკითხვაში 50-მდე მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა, აქედან 16 მსჯავრდებულმა გამოთქვა სურვილი, ჩართულიყო სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში. 13 სხვადასხვა პროგრამიდან ყველაზე მოთხოვნადი იყო ინგლისური ენის და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები. აქვე უნდა ითქვას, რომ კითხვარი ისე იყო შედგენილი, რომ მსჯავრდებულს სასურველი პროგრამა უნდა აერჩია ჩამოთვლილთაგან. ჩამოთვლილი პროგრამების გარდა სხვა პროგრამის მითითების შესაძლებლობას კითხვარი არ იძლეოდა.

სახალხო დამცველის, სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე³⁰ სოციალური მუშაკების პირობებში შეუძლებელია მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა. დაწესებულების სოციალური მუშაკების გადმოცემით, 2019 წლის იანვრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა არ მომზადებულა, შესაბამისად, პატიმრებთან არ მიმდინარეობს მულტი-დისციპლინური მუშაობა. საინტერესო და თავშესაქცევი აქტივობების გარეშე საკანში 23 საათი ყოფნა კი პატიმრებში აძლიერებს პროტესტის, უსამართლობისა და უიმედობის განცდას, რაც დამატებით პრობლემებს აჩენს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. მსჯავრდებულებისთვის ერთადერთი თავშესაქცევი ტელევიზორი, რადიო და წიგნებია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში მყოფ პატიმართა ნაწილს არც ტელევიზორზე მიუწვდება ხელი. მართალია, დაწესებულების საწყობში ინახება პატიმართა ტელევიზორები (დაახლოებით 50), რომელთა ნაწილი მუშა მდგომარეობაშია (დაახლოებით 16), თუმცა დაწესებულების თანამშრომლების თქმით, სხვის კუთვნილ ტელევიზორებს სხვა პატიმრებს ვერ გადასცემენ. აქვე უნდა ითქვას, რომ საწყობში მუშა მდგომარეობაში მყოფი ტელევიზორების მესაკუთრეთა ნაწილი უკვე გათავისუფლებულია, გადაყვანილია სხვა დაწესებულებაში ან ამავე დაწესებულებაში იმყოფება და ახალი ტელევიზორით სარგებლობს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია დაწესებულების ადმინისტრაციამ, ტელევიზორების მესაკუთრე პირების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, სოციალური მუშაკების დახმარებით უზრუნველყოს საწყობში არსებული მუშა ტელევიზორების გადაცემა იმ პატიმრებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ტელევიზორი.

მართალია, 2016 წლის შემდეგ, ბიბლიოთეკაში წიგნების მარაგი³¹ განახლდა, თუმცა დაწესებულებაში ჟურნალ-გაზეთების სათანადო პერიოდულობით განახლება კვლავ

³⁰ დაწესებულებაში დასაქმებული 2 სოციალური მუშაკიდან არცერთი არ აკმაყოფილებს სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 42-ე მუხლის I ნაწილის „გ“ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს (მას უნდა ჰქონდეს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერთიფიკატი).

³¹ 2018 წელს ბიბლიოთეკა 110 წიგნით განახლდა.

არ ხდება³².

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N3 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა
- დაწესებულებაში გაიზარდოს სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვილი ეზოების რაოდენობა
- უზრუნველყოს დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკების პროფესიული გადამზადება
- უზრუნველყოს N3 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვა და მათში მსჯავრდებულთა ჩართულობა
- გააგრძელოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების ბიბლიოთეკის განსაახლებლად, ბიბლიოთეკა სათანადო პერიოდულობით მომარაგდეს ჟურნალ-გაზეთებით

6. კონტაქტი გარე სამყაროსთან

დახურულ ინსტიტუციაში ყოფნა თავისთავად დამთრგუნველია და დაკავშირებულია, როგორც ფსიქოლოგიურ სირთულეებთან ასევე პენიტენციურ სტრესთან. გარე სამყაროსთან კონტაქტი წარმოადგენს აღნიშნულ სტრესთან გამკლავების მნიშვნელოვან საშუალებას. იქიდან გამომდინარე, რომ განსაკუთრებული რისკის მსჯავრდებულებს კანონმდებლობით მეტად აქვთ შეზღუდული გარე სამყაროსთან ურთიერთობა, ისინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად იზოლაციაში იმყოფებიან, რაც უარყოფითად აისახება მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე.

სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის 2019 წელს არ გაზრდილა პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა³³. ამასთანავე, მათ არა აქვთ ვიდეოპაემნებით სარგებლობის უფლება. გარდა ამისა, აღნიშნული კატეგორიის პატიმრებს ხანმოკლე

³² ბიბლიოთეკაში 4 სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის ძველი ნომრები მოიპოვება. ბოლოს 2018 წლის ბოლოს მიიღეს ჟურნალ „National Geographic“-ის მთელი წლის განმავლობაში გამოშვებული ნომრები.

³³ პატიმრებს, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი უფლება აქვთ: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეთ 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; 1 წლის განმავლობაში ჰქონდეთ 1 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; 1 თვის განმავლობაში უფლება აქვთ საკუთარი ხარჯით ჰქონდეთ 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – 1 სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა, საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 66³ (ბ, ბ¹, გ) პუნქტები.

პაემნით სარგებლობა მინის ბარიერით აღჭურვილ ოთახებში უწევთ, რომელიც ხელოვნურად ყოფს პატიმარსა და ვიზიტორს და ხელს უშლის მათი პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობას.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პატიმრის კონტაქტი გარე სამყაროსთან უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც უფლება და არა პრივილეგია, შესაბამისად, ის არ უნდა გახდეს პატიმრის დასჯისა და წახალისების მიზნებისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტი.³⁴

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში ხაზგასმით მოუწოდებს საქართველოს მთავრობას მთლიანად შეცვალოს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების მიმართ არსებული მიდგომები და უზრუნველყოს ის, რომ მათ მიმართ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობაზე, სხვებთან ურთიერთობაზე, განმარტოების შესაძლებლობასა და გარე სამყაროსთან კონტაქტზე დაწესებული შეზღუდვები გამოიყენებოდეს მხოლოდ ინდივიდუალური რისკის შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის შემდგომ, რომელიც უნდა გადაიხედოს რეგულარულად (6 თვეში ერთხელ მაინც). კომიტეტის შეფასებით, კანონმდებლობაში არსებული ბლანკეტური შეზღუდვები არის უკიდურესად გადაჭარბებული.³⁵

აღსანიშნავია, რომ პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური სახდელების ჩამონათვალი კვლავ ითვალისწინებს დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის, პაემნისა და კორესპოდენციის აკრძალვას. შესაბამისად, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა იქნას გამოყენებული ოჯახთან კონტაქტის რაიმე სახით შეზღუდვისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულთანაა დაკავშირებული.³⁶

გარდა ამისა, პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებით დამატებითი პრობლემები ექმნება დაწესებულებაში მოთავსებული იმ პატიმრებს, რომელთა ოჯახებიც აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობენ, ვინაიდან აღნიშნული დაკავშირებულია

³⁴გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), დინამიკური უსაფრთხოების სახელმძღვანელო, ნიუ იორკი, 2015, p. 22, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UNODC_Handbook_on_Dynamic_Security_and_Prison_Intelligence.pdf [ბოლოს ნანახია: 02.11.19].

³⁵ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), გვ.7, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია: 15.11.19].

³⁶ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ.100, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია: 15.11.19].

მგზავრობის ხანგრძლივობასთან და დამატებით ხარჯებთან. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს პაემნების და სატელეფონო კავშირების თვალსაზრისით შეღავათიანი მიდგომის აუცილებლობას იმ პატიმრებისთვის, რომელთა ოჯახის წევრები პენიტენციური დაწესებულებიდან მოშორებით ცხოვრობენ (რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის რეგულარულ ვიზიტებს). ასეთ პატიმრებს შესაძლებელია, პაემნების დროის აკუმულირების ნება დართონ ან/და უზრუნველყონ ისინი ოჯახთან სატელეფონო კავშირის გაუმჯობესებული პირობებით.³⁷ ამის საპირისპიროდ, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა N3 დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაადგინა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოდან გადაყვანილ პატიმრებს დისციპლინური სახდელის სახით ეზღუდებოდათ სატელეფონო საუბარი.

სახალხო დამცველმა/სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, N3 დაწესებულების წინა წლების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში³⁸ რეკომენდაციით მიმართა დაწესებულების ადმინისტრაციას, რათა ტელეფონის აპარატები განეთავსებინათ იმდგვარად, რომ პატიმარს შეძლებოდა თანამშრომლის მოსმენის გარეშე ტელეფონით სარგებლობა. სახალხო დამცველი მიესალმება რეკომენდაციის შესრულების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს და დაწესებულების მეორე სართულზე სამი სატელეფონო კაბინის მოწყობას. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ მსჯავრდებულების საუბრის კონფიდენციალურობა სრულად იყოს დაცული, აუცილებელია სატელეფონო საუბრისთვის განკუთვნილი სივრცეების დამატებითი საიზოლაციო საშუალებებით აღჭურვა, რათა მსჯავრდებულის საუბარი არ იყოს სხვა პირისთვის გასაგები. სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოგზავნილი წერილით³⁹ ირკვევა, რომ დაწესებულების დირექცია მზადაა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, რასაც მივსვალმებით.

წინა წლების მსგავსად ისევ პრობლემურია N3 დაწესებულების დებულებაში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულები ვალდებული არიან დაწესებულების დირექტორს წინასწარ მიაწოდონ იმ 5 პირის საკონტაქტო ნომერი, რომლებთანაც განახორციელებენ სატელეფონო ზარებს.⁴⁰ ამ ნომრების გარდა, პატიმარი ვერ შეძლებს სხვა ნომრებზე დარეკვას, თუ ხელახლა წერილობით არ მიმართავს დაწესებულების

³⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 51, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია: 15.11.19].

³⁸ N3 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში, 2016 წლის 23-25 მაისს და 2017 წლის 2-4 თებერვალს განხორციელებული ვიზიტების შემდგომი ანგარიში,

³⁹ N3 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 27 ნოემბრის წერილი № 354931/21 27.

⁴⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N109, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 42, პუნქტები 1, 2 და 3.

დირექტორს და არ შეცვლის ტელეფონის ნომერს. აღნიშნულის გამო პრობლემური ხდება პატიმრის მიერ ისეთ უწყებებთან დაკავშირება, როგორიცაა სახალხო დამცველის აპარატი, გენერალური ინსპექცია და სხვა, რადგან ეს წესი ამ უწყებების საკონტაქტო ნომრებზეც ვრცელდება. საქართველოს სახალხო დამცველმა 2019 წლის 15 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და გაასაჩივრა ის ნორმები, რომელიც განსაკუთრებულ რეგულაციას უქვემდებარებს სახალხო დამცველის აპარატთან ამ საშუალებით კომუნიკაციის შესაძლებლობას.⁴¹

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველთან დაუბრკოლებელი დაკავშირება წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას, განსაკუთრებით კი იმ პატიმრებისათვის, რომელთა სოციალური იზოლაციის პირობებში ყოფნა შეიცავს არასათანადო მოპყრობის დიდ რისკს. მნიშვნელოვანია, რომ პატიმრობის კოდექსში შევიდეს ცვლილება და პატიმრებს, რომელთაც განსაზღვრული აქვთ მაღალი რისკი, ჰქონდეთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ სახალხო დამცველს და ინსპექტირების სხვა ორგანოებს.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს გაეზრდოთ პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და გაუქმდეს ოჯახთან კონტაქტის რაიმე სახით შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება
- შევიდეს ცვლილება „პატიმრობის კოდექსში“ და პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ სახალხო დამცველს და ინსპექტირების სხვა ორგანოებს

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის

⁴¹ სარჩელი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.constcourt.ge/ge/court/sarchelebi>> სარჩელის ნომერი 1441.

უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა

7. სამედიცინო მომსახურება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით,⁴² დაკავებულ პირთათვის ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.⁴³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემამ მსჯავრდებულებისათვის უნდა უზრუნველყოს ისეთივე სტანდარტის მკურნალობა, როგორითაც სარგებლობენ ამ ქვეყანაში სხვა პაციენტები ასეთი დაწესებულებების ფარგლებს გარეთ.⁴⁴

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობაზე. პატიმრების განმარტებით, ხშირად პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის ლოდინი უწევდათ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნიეს ის, რომ მთავარი ექიმთან შესახვედრად განცხადებით უნდა მიემართათ, ამასთან ტკივილგამაყუჩებელი ან სხვა მედიკამენტის მოთხოვნა უნდა დაეწერათ ფურცელზე და მორიგის დახმარებით გადაეცათ ექთნისთვის, რაც მომსახურების დაგვიანებასთან ერთად იწვევდა კონფიდენციალურობის დარღვევას. სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევდა, რომ სამედიცინო მომსახურების დროული მიწოდების მიზნით საჭირო იყო ექიმ კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები და პატიმრის მიერ წერილობითი განცხადებით სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა.

2019 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს პატიმრების ნაწილი კვლავ აღნიშნავდა, რომ სამედიცინო მომსახურების მისაღებად ლოდინი უწევთ. დაწესებულებიდან გაგზავნილი ტელეფონოგრამების ჟურნალის შესწავლით კი დადგინდა, რომ პატიმრების ნაწილი სამედიცინო მომსახურების მიღების მოთხოვნით ან/და სამედიცინო პერსონალისადმი უნდობლობის გამო შიმშილობდნენ ან/და იყენებენ

⁴² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე დუბეკა ალბანეთის წინააღმდეგ (Dubeku v. Albania), პარ. 41.

⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia), პარ. 47-49.

⁴⁴ ევროპის საბჭო წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), ჯანმრთელობის დაცვის სამსახური თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ამონაწერი მე-3 საერთო ანგარიშიდან, გამოქვეყნდა 1993 წელს, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/16806ce931>[ბოლოს ნანახია:10.11.19].

თვითდაზიანებას.⁴⁵

დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა,⁴⁶ დაწესებულებას არ ჰყავს პირველადი ჯანდაცვის პუნქტის ექიმი და ექთანი, ასევე 1 მორიგე ექიმი. აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს მთავარი ექიმი რამდენიმე ფუნქციას ითავსებდა⁴⁷, ამასთან 3 მორიგე ექიმიდან 1 საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა.⁴⁸ სამედიცინო პერსონალის ასეთი გადატვირთული გრაფიკით მუშაობა მათ პროფესიული გადაწვის საფრთხეს ქმნის, რაც თავის მხრივ სამედიცინო მომსახურების ხარისხზეც მოახდენს გავლენას. .

წინა წლების მსგავსად პრობლემებია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების კუთხით, დასკვნითი დიაგნოზების ფურცელი ზოგიერთ შემთხვევაში შევსებული არაა, სამედიცინო ბარათებში არსებული ექიმის ჩანაწერები არასრულყოფილია, არ ჩანს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკა.

დაწესებულებას ემსახურებიან მოწვეული ექიმ სპეციალისტები, ნევროლოგი, ფსიქიატრი, უროლოგი და სტომატოლოგი, სხვა სპეციალისტებთან კონსულტაციისთვის კი პაციმარი გაჰყავთ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. ექიმ კონსულტანტთა აღრიცხვის ჟურნალში ხშირად არ არის მითითებული ჩაწერის ან კონსულტაციის ჩატარების დრო. დაწესებულებიდან ყოველი კვირის დასაწყისში, ორშაბათ დღეს სამედიცინო დეპარტამენტში იგზავნება ინფორმაცია მომლოდინე პაციენტების თაობაზე, რის შემდეგაც ექიმ-სპეციალისტები სამინისტროდან მოწოდებული განრიგის შესაბამისად ატარებენ კონსულტაციებს.⁴⁹

წინა წლების მსგავსად კვალ პრობლემას წამოადგენს სამედიცინო მომსახურების არაკონფიდენციალურ გარემოში მიწოდება. აღსანიშნავია, რომ როგორც დაწესებულების სამედიცინო პერსონალი, ასევე მოწვეული ექიმ-სპეციალისტები, გარდა ფსიქიატრისა და უროლოგისა, პაციმრებს ესაუბრებიან და სამედიცინო მომსახურებას უწევენ დაწესებულების თანამშრომლების თანდასწრებით.

⁴⁵ 99 შემთხვევიდან 24 შემთხვევაში პაციმარი შიმშილობდა ან თვითდაზიანებას იყენებდა სამედიცინო მომსახურების მოთხოვნით.

⁴⁶ 2019 წელს დაწესებულებაში დასაქმებული იყო 1 მთავარი ექიმი, 3 მორიგე ექიმი, 4 მორიგე ექთანი, ტუბერკულოზის ექთანი და 1 წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებაში აქვთ 3 ვაკანსია პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტის 1 ექიმის და 1 ექთნის, ასევე 1 მორიგე ექიმის პოზიციაზე.

⁴⁷ მთავარ ექიმთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მთავარი ექიმი თავის ძირითად ფუნქციასთან ერთად ითავსებს მორიგე ექიმის და სტერილიზაციაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსაც

⁴⁸ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს მორიგებდა 3 ექიმი (2 მორიგე ექიმი და მთავარი ექიმი) ყოველ მესამე დღეს 24 საათი.

⁴⁹ მთავარმა ექიმმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სტომატოლოგი კვირაში ორჯერ შედის დაწესებულებაში, ფსიქიატრი კვირაში ერთხელ, ნევროლოგი და უროლოგი კი 2 კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად.

სამედიცინო რეფერალის დროულობა

2016 წლის მეორე ნახევრიდან, ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურების პრობლემა აღარ იყო, თუმცა დადასტურების შემდგომ ხშირ შემთხვევაში გვიანდებოდა სამედიცინო მომსახურების მისაღებად პაციმრების გადაყვანა. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია, რათა სამედიცინო მომსახურების დროული უზრუნველყოფის მიზნით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში შესულიყო ცვლილება და განსაზღვრულიყო სამედიცინო რეფერალის თაობაზე მთავარი ექიმის შუამდგომლობის განხილვის ვადა.⁵⁰ დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან ფუნქციონირებს კომისია, რომელიც ექიმის შუამდგომლობას განიხილავს.⁵¹

სამედიცინო ბარათების შესწავლის დროს დადგინდა, რომ ამბულატორიულ სამედიცინო ბარათებში ნაკლებად ჩანს პაციმართა ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები, ჩანაწერები საკმაოდ მწირია. მორიგეობის დროს პაციმარს რაიმე სახის გადაუდებელი დახმარება რომ დასჭირდეს, მორიგე ექიმს უნდა შეეძლოს მარტივად იპოვოს ჯანმრთელობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც დაეხმარება პაციმრისათვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენის დროს. ამიტომ მნიშვნელოვანია თითოეული პაციმრის ბარათში წლიური ეპიკრიზების⁵² არსებობა. გარდა ამისა, აუცილებელია დაწესებულებიდან გადაყვანის შემთხვევაში მომზადდეს შემაჯამებელი ეპიკრიზი, რათა პაციმრის ჯანმრთელობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამედიცინო პერსონალის მხრიდან უყურადღებოდ არ დარჩეს. ასე მაგალითად, ერთ-ერთ პაციენტს N2 დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ოპერაციული მკურნალობის რეკომენდაცია მიეცა, თუმცა არცერთი⁵³ დაწესებულებიდან ამ პაციმრის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირება არ მომხდარა.

ფსიქიატრიული დახმარება

სახალხო დამცველმა არა ერთ ანგარიშში გასცა რეკომენდაცია N3 დაწესებულებაში მოთავსებული პაციმრებისათვის უზრუნველყოფილი ყოფილიყო დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება. აღნიშნული პრობლემა კვლავ რჩება 2019 წელსაც. 2019 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ფსიქიატრიული დახმარება კვლავ მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციითა და ფარმაცოთერაპიით

⁵⁰ 2016 და 2017 წლების N3 დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში

⁵¹ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბერადებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესი“; მუხლი 1

⁵² ექიმის დასკვნა, ამომწურავი წერილობითი განმარტება დაავადების წარმოშობის, განვითარების, მიმდინარეობის, მკურნალობის ხასიათისა და შედეგის შესახებ.

⁵³ N2 და N3 დაწესებულებებიდან.

შემოიფარგლება. არ ხდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტთა საჭიროებების გამოვლენა და შესაბამის ფსიქიატრიულ სერვისებზე გადამისამართება. აღნიშნული სერვისების არ არსებობის გამო სათანადოდ არ ხდება ფსიქიატრიული შემთხვევის მართვა. აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულებაში, 2019 წელს განხორციელებული ვიზიტისას პაციმრებს 1 ფსიქოლოგი ემსახურებოდა, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალურად ესაუბრება პაციმრებს. რაც შეეხება ფსიქიატრს, მთავარი ექიმისა და მედპერსონალის გადმოცემით, ფსიქიატრი დაწესებულებაში დადის კვირაში 2-ჯერ, თუმცა უახლოეს მომავალში აპირებს სამსახურიდან წასვლას.⁵⁴ მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში პერიოდულად ჩატარდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი, ამასთან დაინერგოს ფსიქიატრიული სერვისები, რაც საშუალებას მისცემს სამედიცინო პერსონალს დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება გაუწიოს პაციმარს. რაც შეეხება კრიზისული შემთხვევების მართვას, ასეთ დროს პაციმარი N18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაჰყავთ.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არსებული ვაკანსიების შევსება მოხდეს კვალიფიციური პერსონალით
- მაქსიმალურად უზრუნველყოს პაციმრებისა და ექიმების უშუალო კონტაქტი არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, მათ შორის დაწესებულებებში გამოძახების ღილაკის დამონტაჟებისა და/ან სამედიცინო პერსონალის მიერ საკნების ყოველდღიური შემოვლის ვალდებულების დაწესების გზით
- ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათების შევსებისას არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად:
 - ყოველი წლის ბოლოს დაიწეროს შემაჯამებელი/წლიური ეპიკრიზი, სადაც მოკლედ აისახება გასული წლის განმავლობაში პაციმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკა, ჩატარებული კონსულტაციები, განხორციელებული რეფერალი, გამოკვლევები, დასმული დიაგნოზები, ჩატარებული მკურნალობა და მისი შედეგები
 - სამედიცინო პერსონალისთვის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზების მაქსიმალურად აღმოსაფხვრელად, დაინერგოს ინფორმაციული ელექტრონული სისტემა.

⁵⁴ ფსიქიატრთან გასაუბრება ვერ შედგა, რადგან მონიტორინგის დროს იგი არ იმყოფებოდა დაწესებულებაში.

- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიგუნდის შემადგენლობა, მულტიგუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა
- მუდტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროებათ, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიო-ფსიქო-სოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება.